

**ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის
საქართველოს კომიტეტი**

Landmine Monitor-ის 2003 წლის ანგარიში

2002 წლის მაისის შემდეგ განვითარებული ძირითადი მოვლენები: ჯერ კიდევ არსებობს ინფორმაცია საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენებასთან დაკავშირებით. საქართველო კატეგორიულად უარყოფს ყველა განცხადებას ნაღმების გამოყენების შესახებ. ნატო თანახმაა უზრუნველყოს დახმარება, როგორც საქართველოს სამხედრო ობიექტების ასევე, ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო ბაზების მიმდებარე ტერიტორიების გაუვნებლების საქმეში. 2002 წელს, საქართველოში ნაღმების/აუფეთქებელი ჭურვების გამო გამოწვეული 70 ახალი უბედური შემთხვევაა რეგისტრირებული.

ნაღმების აკრძალვის პოლიტიკა

საქართველო არ შეუერთდა ნაღმების აკრძალვის კონვენციას, მაგრამ ის მხარს უჭერს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების საყოველთაო აკრძალვას. 2002 წლის ივლისში Landmine Monitor-სათვის გაგზავნილ წერილში, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე აღნიშნავს: „საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საკითხს“ და მხარს უჭერს დიად მიზანს - „ნაღმებისაგან თავისუფალი მსოფლიო“¹. კიდევ ერთი სახელმწიფო თანამდებობის პირი აღნიშნავს: „საქართველო . . . დარწმუნებულია, რომ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამო ადამიანისათვის მიყენებული ზიანი და სოციალური დანახარჯები გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ამ ნაღმების სამხედრო ღირებულება.“²

2003 წლის ივლისში Landmine Monitor-სათვის გაგზავნილ წერილში, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით აფციაური დადებითად აფასებს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქმიანობას, რომლის მიზანია „მსოფლიოს გათავისუფლება ნაღმებისაგან“. მან განაცხადა, რომ საქართველო „სრულიად იზიარებს საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულებას ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებთან დაკავშირებული პრობლემის მიმართ“ და ის „ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ . . . ხელი შეუწყოს ზემოაღნიშნული საფრთხის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის პროცესს.“³

საქართველო აცხადებს, რომ მას ამჟამად არ შეუძლია შეუერთდეს ნაღმების აკრძალვის კონვენციას, რადგან მისი იურისდიქცია არ ვრცელდება დანაღმულ ტერიტორიებზე აფხაზეთსა და სამაჩაბლოში და, რადგან მას წარმოექმნება პრობლემები ყოფილი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ დატოვებული ნაღმებისა და აუფეთქებელი ჭურვების (UXO) გაუვნებლებასთან დაკავშირებით⁴. საქართველომ

¹ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მერაბ ანთაძის წერილი Landmine Monitor-ს (მერი უორკჰამი, კოორდინატორი), 2002 წლის 19 ივლისი.

² ვახტანგ ჩხეიძის (საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტი) მიერ გაკეთებული განცხადება, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის სემინარი ნაღმებსა და ომის შემდგომ ფეთქებად ნარჩენებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მოსკოვი, 2002 წლის 4 ნოემბერი.

³ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით აფციაურის წერილი Landmine Monitor-ს (მერი უორკჰამი, კოორდინატორი), 2003 წლის 10 ივლისი.

⁴ ინტერვიუ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან, თბილისი, 2002 წლის 6 თებერვალი. წარმომადგენელმა ასევე წერილობითი პასუხები გასცა Landmine Monitor-ის მიერ წარმოდგენილ კითხვებს. ერთ-ერთ ამგვარ წერილობით პასუხში ნათქვამია: „აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჯერ კიდევ არსებობს დანაღმული ტერიტორიები, რომლებზეც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება და, ამ ტერიტორიაზე საქართველოს არ შეუძლია მონიტორინგისა და განაღმის სამუშაოების ჩატარება. გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე ყოფილი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის მიერ დატოვებულია ასობით სამხედრო ობიექტები, სადაც განთავსებულია ნაღმები, ფეთქებადი ნივთიერებები და სხვადასხვა პროფესიული დაავადებების გამომწვევი წყაროები; სახელმწიფო ბიუჯეტსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული სახსრები ამგვარი საფრთხის წარმომქმნელი წყაროების ლიკვიდირებისათვის.“

განაცხადა, რომ „ფინანსური და ტექნიკური დახმარების გარეშე, საქართველო ვერ შეძლებს მისი ვალდებულებების შესრულებას“ ნაღმების აკრძალვის კონვენციის შესაბამისად⁵.

2002 წლის სექტემბერში საქართველოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ ნაღმების აკრძალვის კონვენციის მხარე-სახელმწიფოების მეოთხე შეხვედრას, და 2003 წლის თებერვალში მონაწილეობდნენ სესიათაშორისო მუდმივი კომიტეტის სხდომებზე. 2002 წლის 22 ნოემბერს საქართველომ მხარი დაუჭირა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ 57/74 რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებს ნაღმების აკრძალვის კონვენციის საყოველთაოდ აღიარებასა და განხორციელებას ისევე, როგორც მან მხარი დაუჭირა წინა წლებში მიღებულ მსგავს რეზოლუციებს.

საქართველო ჩვეულებრივი იარაღის შესახებ 1980 წლის კონვენციისა და მისი II პროტოკოლის მონაწილეა, მაგრამ მას არ მოუხდენია ნაღმების შესახებ II შესწორებული პროტოკოლის რატიფიცირება. 2002 წლის დეკემბერში საქართველოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ II შესწორებული პროტოკოლის მხარე-სახელმწიფოთა მეოთხე წლიურ კონფერენციას.

წარმოება, გადატანა და მარაგი

სახელმწიფო თანამდებობის პირები ჯერ კიდევ აცხადებენ, რომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საქართველოს არასოდეს განუხორციელებია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების წარმოება, ექსპორტი ან იმპორტი. საქართველომ ყოფილი საბჭოთა კავშირისაგან მემკვიდრეობით მიიღო ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მცირე რეზერვები. ამ რეზერვების ზუსტი მოცულობა და შემადგენლობა უცნობი რჩება⁶.

2002 წელს, რუსეთმა საქართველოში დაიწყო მისი ძველი საბრძოლო მასალებისა და ნაღმების მარაგების განადგურება. რუსეთის ნაღმები ინახებოდა საქართველოს სამ სამხედრო ბაზაზე⁷. არსებული ინფორმაციის თანახმად, 2002 წლის 15 მარტს, რუსეთმა გაანადგურა 500 ნაღმი, რომელიც ინახებოდა საგარეჯოში არსებულ მის ყოფილ ბაზაზე. საგარეჯოს საბრძოლო რეზერვების საწყობებში შენახული მასალების მოცულობა 100,000 ტონას აღემატება; 35,000 ტონა საბრძოლო მასალები გადატანილ იქნა გიუმრიში (სომხეთი) საქართველო-სომხეთის შეთანხმების საფუძველზე⁸.

გამოყენება

1996 წლის სექტემბრიდან საქართველოს ოფიციალურად გამოცხადებული აქვს მორატორიუმი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების შესახებ⁹. თუმცა, 2002 წლის თებერვალში, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა აღიარა, რომ 2001 წელს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა აფხაზეთის ახლოს, კოდორის ხეობაში რამდენიმე ადგილას განათავსა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები¹⁰. 2002 წლის

⁵ სიტყვიერი განცხადება, საქართველოს მუდმივი მისია ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში (ეუთო), FSC. DEL/12/01, 2001 წლის 17 იანვარი.

⁶ თავდაცვის სამინისტროს მიერ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტისათვის მიწოდებული ინფორმაცია, 2002 წლის 6 თებერვალი.

⁷ *Landmine Monitor-ის 2001 წლის ანგარიშში* (გვ.878) მითითებული ინფორმაციის თანახმად, ნაღმები ინახება საგარეჯოს, ბათუმისა და ახალქალაქის ბაზებში.

⁸ „ვაზიანში გრძელდება ცეცხლსასროლი მოწობილობების აფეთქება“, „ახალი თაობა“, 2002 წლის 29 ივლისი, № 206, გვ.8; „უახლოეს მომავალში საქართველოში რამდენიმე სამხედრო ობიექტი დაიხურება“, „ახალი თაობა“, 2002 წლის 13 დეკემბერი, №343, გვ.8.

⁹ მორატორიუმი გამოცხადდა გაეროში, პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ 1996 წლის სექტემბერში, და მას შემდეგ მრავალჯერ განმეორდა სახელმწიფო თანამდებობის პირთა მიერ. იხილეთ *Landmine Monitor-ის 1999 წლის ანგარიში*, გვ. 792, და ეუთოში გაკეთებული სიტყვიერი განცხადება, 2001 წლის 17 იანვარი.

¹⁰ ინტერვიუ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან, თბილისი, 2002 წლის 6 თებერვალი. ნაღმების გამოყენების ფაქტი დადასტურდა წერილობით პასუხებში, რომლებიც აღნიშნულმა წარმომადგენელმა გასცა

ივლისში, თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირმა დაადასტურა ეს ინფორმაცია და ის ფაქტი, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები და არა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები¹¹.

2002 წლის ივლისში გამოქვეყნებულ საგაზეთო სტატიაში ნათქვამია, რომ „კოდორის ხეობის ზედა ნაწილში ქართველი მესახლვერების მიერ ნაღმების განთავსებისას მოხდა აფეთქება, რომლის შედეგადაც ერთი მესახლვერე გარდაიცვალა, ხოლო მეორე მძიმედ დაიჭრა“. ამავე სტატიაში აღნიშნულია, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სამშვიდობო ჯარების ოფისის მიერ გაცემულ პრეს-რელიზში ნათქვამია: „საქართველოს სახლვერის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები ნაღმებს დებენ კოდორის ხეობის ზედა ნაწილში . . . კერძოდ, დსთ-ს სამშვიდობო ჯარების 107-ე საგუშაგო და სოფელ კვაბჭარას შორის არსებულ ტერიტორიაზე.“ არსებული ინფორმაციის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა მოითხოვა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებს დროულად მოეხდინათ სამხედროების ევაკუირება¹².

2003 წლის მარტში, კოდორის ხეობაში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა ემზარ კვიციანიმ განაცხადა, რომ „კოდორის ხეობის მთავარი მიმართულება, სოფელ კვაბჭარას მიდამოები და სხვა ტერიტორიები პერმანენტულად ინაღმება . . . ხეობაში გაეროსა და რუსი სამშვიდობოების შესვლის წინ ქართული მხარე თავად აწარმოებს განაღმვით სამუშაოებს და მათი გასვლის შემდეგ კი განაღმულ ტერიტორიებს კვლავ ნაღმავს. აფხაზურ მხარეს თავის მხრივ დანაღმული აქვთ მარუხის უღელტეხილის მისადგომები.¹³ რამდენიმე დღის შემდეგ, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტთან ინტერვიუში მან ისევ გაიმეორა აღნიშნული განცხადებები¹⁴.

2003 წლის ივნისში, თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირმა აფხაზეთში Landmine Monitor-ს განუცხადა, რომ 2002 წლის შუა პერიოდში აფხაზეთისა და საქართველოს ჯარებმა დანაღმეს მარუხის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიები¹⁵.

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტის მიერ წარმოდგენილი შეკითხვების საპასუხოდ, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებმა უარყვეს ის ფაქტი, რომ საქართველომ ახალი ნაღმები განათავსა კოდორის ტერიტორიაზე. საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა: „ბ-ნი კვიციანის მიერ კატეგორიულად იქნა უარყოფილი საქართველოს სამთავრობო შენაერთების მიერ კოდორის ხეობაში ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია. პრეზიდენტის რწმუნებულის განმარტებით, „ახალი თაობის“ ჟურნალისტმა არასწორი ინტერპრეტაცია გაუკეთა მის განცხადებას კონფლიქტის დროს დანაღმული ტერიტორიების სალიკვიდაციოდ ჩატარებული სამუშაოების შესახებ.“¹⁶ თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებს არასოდეს გამოუყენებიათ აკრძალული საბრძოლო მასალები. რაც შეეხება ბატონ ემზარ

Landmine Monitor-ის მიერ წარმოდგენილ კითხვებზე. მან ასევე განაცხადა, რომ ნაღმები გამოყენებულ იქნა პანკისის ხეობაში.

¹¹ სატელეფონო საუბარი თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირთან, თბილისი, 2002 წლის 23 და 24 ივლისი. მან განაცხადა, რომ ის ადგილები, სადაც განთავსდა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები ავტომატქანებისათვის მიუდგომელია.

¹² „ქართველი მესახლვერები ნაღმზე აფეთქდნენ კოდორის ხეობის ზედა ნაწილში“, *კავკასიის პრესა* (სოხუმი), 2002 წლის 2 ივლისი.

¹³ „კოდორის მთავარი გზა პერმანენტულად ინაღმება“, *ახალი თაობა*, №74, 2003 წლის 17 მარტი, გვ.7.

¹⁴ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტის ინტერვიუ კოდორში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულ ემზარ კვიციანთან, 2003 წლის 23 მარტი.

¹⁵ Landmine Monitor-ის (აფხაზეთი) ინტერვიუ აფხაზეთის თავდაცვის მინისტრ ვიანესლავ ეშბასთან, სოხუმი, 2003 წლის 23 ივნისი.

¹⁶ წერილი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე შოთა დოლონაძისაგან, №8-14/621, 2003 წლის 23 მაისი.

კვიციანის ინტერვიუს, მასთან საუბრისას გაირკვა, რომ გაზეთის კორესპონდენტის მიერ აღბათ არასწორად იქნა გაგებული ბატონ ემზარ კვიციანის ინფორმაცია, რასაც შეცდომით მოჰყვა გაზეთში „პერმანენტულ დანაღმებსთან“ დაკავშირებული მასალის გაშუქება“¹⁷.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ Landmine Monitor-მა მიიღო განცხადებები საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების შესახებ, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ 2003 წლის ივლისში გააგზავნა საპასუხო წერილი, რომელშიც ეწერა: „მინდა დაგარწმუნოთ, რომ 1996 წლიდან (როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გამოაცხადა ერთმხრივი მორატორიუმი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების, იმპორტისა და ექსპორტის შესახებ) საქართველოს შესაბამისი ორგანოები მაქსიმალურად არიდებენ თავს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენებას.“¹⁸

ნაღმებთან დაკავშირებული პრობლემა და განაღმვის ოპერაციები

ნაღმები და აუფეთქებელი ჭურვები საფრთხეს უქმნის საქართველოს მოქალაქეებს - ძირითადად, აფხაზეთისა და რუსეთის სამხედრო ბაზების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას. (იხილეთ Landmine Monitor-ის ცალკე ანგარიში აფხაზეთის შესახებ). სამხედრო მოქმედებებისა და სამხედრო ბაზების ზონაში ნაღმების გაუვნებლება თავდაცვის სამინისტროს დაევალა, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია დასახლებულ პუნქტებზე, საავტომობილო და სარკინიგზო გზებზე, ხოლო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი – სასაზღვრო რაიონებზე.

1998 წლიდან შეერთებულმა შტატებმა 2.7 მილიონი დოლარი გამოყო საქართველოში განაღმვის ოპერაციების განხორციელებაში დახმარების უზრუნველყოფის მიზნით. 2001 და 2002 წლებში, აშშ-მ საქართველოს გამოუგზავნა გასანადმი მოწყობილობა, და განაღმვის ოპერაციათა ინსტრუქტორებად მოამზადა 20 ქართველი, რომელთაც, თავის მხრივ, 34 სხვა სპეციალისტი მოამზადეს; შედეგად, საქართველოში განაღმვის დარგში მომზადებული 54 სპეციალისტია.¹⁹ 2002 ფისკალურ წელს, საქართველოში განაღმვის ოპერაციების განხორციელებაში დახმარების უზრუნველყოფის მიზნით აშშ-მ 1.1 მილიონი დოლარი გამოყო, რომლის დიდი ნაწილი აფხაზეთში „პალო ტრასტის“ მიერ ჩატარებულ განაღმვის ოპერაციებზე დაიხარჯა, ხოლო დარჩენილი ნაწილით შესყიდულ იქნა ნაღმების დეტექტორები, ჯავშანვიდეტები და ავტომანქანები.²⁰ 2003 წელს, განაღმვის პროგრამა გაგრძელდება, საქართველოს აფხაზეთის რეგიონსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე სამოქალაქო კონფლიქტის შემდეგ დარჩენილი ნაღმებისა და აუფეთქებელი ჭურვების გამო შექმნილი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით.

2002 წელს, ნიდერლანდებმა საქართველოში მიმდინარე განაღმვის ოპერაციებისათვის გამოყო 376,015 დოლარი, გერმანიამ შემოწირულობის სახით გამოყო 160,040 დოლარი, ხოლო გაერთიანებულმა სამეფომ – 487,500 დოლარი.²¹

2002 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა და ნატოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურმა (NAMSA) ხელი მოაწერეს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას მშვიდობის ნდობის ფონდის (Peace Trust Fund) პროექტის განხორციელებისათვის, საქართველოს სამხედრო ობიექტებზე არსებული რეაქტიული ჭურვების რეზერვების დემილიტარიზებისა და უსაფრთხო

¹⁷ წერილი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტს გენერალ-მაიორ ლორიასაგან, თავდაცვის სამინისტროს ლოგისტიკის მართვის ცენტრის უფროსი, №3-11/814, 2003 წლის 30 მაისი.

¹⁸ წერილი დავით აფციაურისაგან, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, 2003 წლის 10 ივლისი.

¹⁹ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, „განაღმვის ჰუმანიტარული ოპერაციების შემსრულებელი ქვეჯგუფის 2002 წლის 14 ივნისის ოქმი“.

²⁰ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, „უსაფრთხოება დედამიწაზე“, 2002 წლის სექტემბერი.

²¹ გაეროს განაღმვის ოპერაციებთან დაკავშირებული ინვესტიციების მონაცემთა ბაზა.

განთავსების მიზნით²². შეთანხმების შესაბამისად, ნატო უზრუნველყოფს მატერიალურ დახმარებას და ტრენინგს, რეაქტიული ჭურვების რეზერვების უსაფრთხო განთავსებისა და თბილისის ახლო მდებარე ყოფილი სამხედრო ობიექტების გაწმენდის ოპერაციათა განხორციელების მიზნით²³. განადმგის ოპერაციათა მწარმოებელი ადგილობრივი ორგანიზაცია „ჯანი“ (ყოფილ ქართველ სამხედრო ინჟინერთა ჯგუფი) გააუწევს ამ 10,000 ჰექტარ ობიექტს, რომელიც ამის შემდეგ გადაეცემა ადგილობრივ მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მოხმარებისათვის²⁴. 1,250,000 ევროს ღირებულების პროექტისათვის ფინანსურ დახმარებას უზრუნველყოფს ლუქსემბურგი (პროექტში მონაწილე ძირითადი ქვეყანა) და ჩრდილოატლანტიკური ალიანსი (NATO) ასევე, სხვა პარტნიორი-ქვეყნები, ხოლო საქართველოს ხელისუფლების ორგანოები დახმარებას უზრუნველყოფენ ნაღდი ანგარიშსწორებით.²⁵

2002 წლის ივნისში, „ჰალო ტრასტი-მა“ ჩაატარა საქართველოში რუსეთის სამი სამხედრო ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დანადგური ფართობების პირველი დონის კვლევა. კვლევის შედეგად განისაზღვრა, რომ ტერიტორია დანადგური იყო, მაგრამ მას შემოვლებული ჰქონდა ეკლიანი მავთულის ღობე და სამხედროები იცავდნენ ამიტომ, ეს ტერიტორია ადამიანებისათვის არანაირ პირდაპირ საფრთხეს არ წარმოადგენდა. „ჰალო ტრასტი-ს“ მიერ უზრუნველყოფილი დახმარებით, „ჯანი“-მ მოამზადა შემოთავაზება დაფინანსების შესახებ ამ დანადგური ტერიტორიების გაუწმენდლების მიზნით; ამის შემდეგ, ნატომ თანხმობა განაცხადა ამ შემოთავაზების მხარდაჭერის შესახებ²⁶.

ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სწავლება

აფხაზეთის გარდა, ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სწავლების (Mine Risk Education) არანაირი სხვა ოფიციალური სამთავრობო ან არასამთავრობო პროგრამები არ არსებობს. განათლების მინისტრი აცხადებს, რომ 2001 წელს გაცემულ იქნა ბრძანება, რომლის საფუძველზეც საშუალო და საბაზო სასწავლებლებში სავალდებულო დისციპლინად შემოღებული იქნება საგანი „საგანგებო სიტუაციები და სამოქალაქო თავდაცვა“. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ იგივე თემა 1995 ისწავლება დაწყებითი სამხედრო მომზადების კურსზე, და მაღალმთიან და სასაზღვრო რაიონების საშუალო სკოლებში. ამასთან, ყოველწლიურად თითო დღე მთლიანად ეთმობა მასობრივ-თავდაცვით დონისძიებებს²⁷. ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტმა შეისწავლა სასკოლო პროგრამა თბილისში და აღმოაჩინა, რომ ზოგიერთ სკოლაში შეზღუდულად ისწავლება ნაღმებთან დაკავშირებული

²² ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრეს-რელიზი „NAMSA საქართველოსთან ხელს აწერს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს დემილიტარიზაციის ოპერაციებში მატერიალურ-ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფის შესახებ“, 2002 წლის 2 ოქტომბერი.

²³ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრეს-რელიზი, „ნატოს მხარდაჭერა საქართველოში საბრძოლო მასალების განადგურებისა და სამხედრო ობიექტების გაუწმენდლების საქმეში“, 2002 წლის 2 ოქტომბერი.

²⁴ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრეს-რელიზი, „საქართველოსა და ნატოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს შორის ლოგისტიკური თანამშრომლობის შესახებ ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ხელმოწერა რეაქტიული ჭურვების საწყობების დემილიტარიზაციისა და განთავსების ასევე, საქართველოს სამხედრო ობიექტების შეცვლის მიზნით“, 2002 წლის 2 ოქტომბერი.

²⁵ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრეს-რელიზი, „ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხარდაჭერა საქართველოში საბრძოლო მასალების განადგურების საქმეში“, 2002 წლის 2 ოქტომბერი.

²⁶ ელ-ფოსტით გაგზავნილი წერილი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტს ტიმ ტერნერისაგან, პროგრამის ხელმძღვანელი, „ჰალო ტრასტი“, აფხაზეთი, საქართველო, 2002 წლის 28 ოქტომბერი.

²⁷ წერილი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტს განათლების მინისტრის ა. კარტოზიასგან, 2001 წლის 11 ოქტომბერი.

რისკ-ფაქტორები, მაგრამ მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ მათ არა აქვთ ნაღმებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სწავლების გაკვეთილების ჩასატარებლად საჭირო სახელმძღვანელოები ან მასალები²⁸.

ნაღმების აფეთქების შედეგად მომხდარი უბედური შემთხვევები

2001 წელს, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტმა შეაგროვა მონაცემები 98 ახალი უბედური შემთხვევის შესახებ (34 – გარდაცვლილი და 64 – დაშავებული).

2002 წელს, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტმა შეაგროვა მონაცემები საქართველოში ნაღმების, აუფეთქებელი ჭურვების ან ასაფეთქებელი მოწყობილობების გამო გამოწვეული 70 ახალი უბედური შემთხვევის შესახებ: 30 ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის ოთხი ბავშვი, და 40 დაშავდა, მათ შორის შვიდი ბავშვი. აფეთქების მსხვერპლთაგან ექვსი საქართველოს შეიარაღებული ძალების წევრი იყო, ხოლო ორი – რუსეთის სამშვიდობო ჯარების²⁹.

2003 წელს ჯერ კიდევ არსებობს მონაცემები უბედური შემთხვევების შესახებ. აპრილში, სამი ქართველი ჯარისკაცი დაშავდა ნაღმის აფეთქების გამო, აშშ-ს მიერ დაფინანსებული მოსამზადებელი ტრენინგის დროს³⁰.

არ არსებობს სრულყოფილი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები საქართველოში ნაღმებისა და აუფეთქებელი ჭურვების გამო გარდაცვლილ ან დაშავებულ ადამიანთა რაოდენობის შესახებ.

დაზარალებულების დახმარება

საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში არსებული საავადმყოფოები რეგულარულად განიცდიან ძირითადი სამედიცინო მასალების ნაკლებობას, რაც გამოწვეულია იმის გამო, რომ არ არსებობს დაფინანსება, და როგორც ჩანს, სპეციალიზირებული რეაბილიტაცია და ფსიქოლოგიური დახმარება მიუღწეველი ან მიუწვდომელი რჩება ნაღმის აფეთქებისაგან გადარჩენილთა უმეტესობისათვის³¹.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (წჯსკ) რეგულარულად აწვდის მოწყობილობებს, მასალებსა და მედიკამენტებს ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოს, სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოს, აგუძერისა და ტყვარჩელის საავადმყოფოებს, დარჩელისა და ჯვარის ორ სამედიცინო დაწესებულებას; გალისა და ოჩამჩირეს საავადმყოფოებში გაიგზავნა პირველადი სამედიცინო დახმარების მოწყობილობები. 2002 წელს დასავლეთ საქართველოში ჩატარდა 779 ქირურგიული ოპერაცია (რომელთაგან სამი ნაღმის აფეთქების გამო გამოწვეული უბედური შემთხვევა იყო), ხოლო აფხაზეთის რეგიონში - 1,362 ოპერაცია (რომელთაგან 14 ნაღმის აფეთქების გამო გამოწვეული უბედური შემთხვევა იყო)³². 2002 წლის ოქტომბერში, საქართველოდან ჩამოსული შვიდი ქირურგი - მათ შორის აფხაზეთიდან ორი ქირურგი - ესწრებოდა მოსკოვში ჩატარებულ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის სემინარს თემაზე: ქირურგია ომის პერიოდში³³.

წჯსკ, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობით, დახმარებას უწევს პროთეზირების/ორთოპედიის ორ ცენტრს თბილისსა და გაგრაში. საქართველოში მხოლოდ ეს ორი ძირითადი

²⁸ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტის მიერ ჩატარებული სასკოლო პროგრამის შემოწმების შედეგები, 2002 წლის ოქტომბერი.

²⁹ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტი საავადმყოფოებისა და საინფორმაციო საშუალებების მიერ გაგრძელებული ინფორმაციის მეშვეობით აგროვებს მონაცემებს უბედური შემთხვევების შესახებ, და ამგვარი ინფორმაცია შეაქვს მონაცემთა ბაზაში.

³⁰ „სამი ქართველი ჯარისკაცი დაიჭრა აშშ-ს მოსამზადებელი ვარჯიშების დროს“, *Agence France Presse*, 2003 წლის 16 აპრილი.

³¹ იხილეთ *Landmine Monitor-ის 2000 წლის ანგარიში*, გვ. 826.

³² წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, „საქართველო: 2003 წლის იანვარი“, *Operational Update*, 2003 წლის 6 მაისი, გვ.4, ხელმისაწვდომია ინტერნეტში: www.icrc.org.

³³ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, „წლიური ანგარიში 2002“, ქენევა, 2003 წლის ივნისი, გვ.251

ცენტრია ხელმისაწვდომი ფიზიკური რეაბილიტაციისათვის. 2002 წელს, ამ ორმა ცენტრმა დაამზადა 478 პროთეზი, 968 ორთოპედიული აპარატი, შეაკეთა 81 პროთეზი და გასცა 42 ინვალიდის სკამი და 398 წყვილი ყავარჯენი; 120 პროთეზი განკუთვნილი იყო ნაღმის აფეთქებისაგან გადარჩენილთათვის. თბილისის ორთოპედიულ ცენტრში 2002 წლის დეკემბრისათვის რეგისტრირებული იყო 458 პაციენტი, რომელთაც ჩაუტარდათ ამპუტირება³⁴. 2002 წლის მაისში, ერთი სპეციალისტი გაიგზავნა გერმანიაში, პროთეზირებისა და ორთოპედიის სფეროში კვალიფიკაციის ასამაღლებელ სამთვიან კურსებზე³⁵.

შრომის, ჯანდაცვისა და სოც-უზრუნველყოფის სამინისტრომ შეიმუშავა სპეციალური პროგრამა - „სამედიცინო და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა ინვალიდებისათვის“ - თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის სარეაბილიტაციო ცენტრებში მოთავსებულ ინვალიდთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის მიზნით³⁶. აღნიშნული პროგრამის შესაბამისად, ამბულატორული მომსახურება ჩაუტარდა 13,248 ინვალიდს, საპროტეზო-ორთოპედიული მომსახურება 465 ინვალიდს, პროფესიული გადამზადება გაიარა 153 ინვალიდმა, 412 ინვალიდს ჩაუტარდა იურიდიული კონსულტაცია. ბენეფიციართა შორის არაა გამოკვეთილი, თუ რამდენი იყო მათ შორის უშუალოდ ნაღმზე დაზარალებული³⁷. 2002 წელს პროგრამისათვის გამოყოფილმა ბიუჯეტმა 100,000 აშშ დოლარი (222,000 ლარი) შეადგინა; ბიუჯეტის ნაწილი - 25,000 აშშ დოლარი (55,500 ლარი) - გადაეცა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ორთოპედიულ ცენტრს, ხოლო 75,000 აშშ დოლარი (166,500 ლარი) - ინვალიდთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრს³⁸.

³⁴ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ფიზიკური რეაბილიტაციის პროგრამა, „წლიური ანგარიში 2002“, უნევა, 2003 წლის ივნისი; სტატისტიკური მონაცემები წარმოადგინა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მისიამ თბილისში, 2003 წლის 17 მარტი.

³⁵ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, „საქართველო: 2003 წლის იანვარი“, Operational Update, 2003 წლის 6 მაისი, გვ.5

³⁶ იხილეთ *Landmine Monitor-ის ანგარიში 2001*, გვ.883-884.

³⁷ წერილი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის საქართველოს კომიტეტს ლ. თოფურიძისაგან, პოლიტიკურ საკითხთა დეპარტამენტი, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო, 2002 წლის 4 ივნისი.

³⁸ ინტერვიუ შრომის, ჯანდაცვისა და სოც-უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე მარინა ღუღუშაურთან, 2002 წლის 7 თებერვალი.